წერილის ნომერი:**01-482419335**
თარიღი: **11/07/2024**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural“ (პროექტის რეგისტრაციის ნომერი: BSB00464) ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში (საკადასტრო კოდი: 29.07.35.068) მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობა.

რადგან ნარჩენების აღდგენა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული (შემუშავების პროცესში არსებული) გენერალური გეგმის (ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის

განაშენიანების გეგმა) შემთხვევაში.

გთხოვთ, დაავალოთ ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს, რომ მოგვცენ შესაბამისი ინფორმაცია.

პატივისცემით,

მაია ფანჩულიძე

ადმინისტრაციული სამსახური-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება-განყოფილების უფროსი